საპროკურორო საბჭო
Prosecutorial Council

№ ____ _____ 20

განკარგულება №2

2024 წლის 20 ივნისი

თბილისი

საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ

,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და 20-ე პუნქტის, მე-16 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, საპროკურორო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საპროკურორო საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევის თანდართული წესი.

2. ეს განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე შოთა ტყეშელაშვილი

0114 ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.№24 ტელ: (+995) 032 2 40 52 70 ელ.ფოსტა: saprokurorosabcho@pog.gov.ge

24 Gorgasali str, 0114 Tbilisi, Georgia Telephone: (+995) 032 2 40 52 70 E-mail: saprokurorosabcho@pog.gov.ge

საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევის წესი

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს საპროკურორო საბჭოს მიერ, საქართველოს გენერალური პროკურორობის (შემდგომში გენერალური პროკურორის) კანდიდატების შერჩევის წესს.

მუხლი 2.

1. გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით მიმდინარე ერთთვიანი საჯარო კონსულტაციების დასრულებამდე, განაცხადის მიღებისთანავე, საპროკურორო საბჭოს სამდივნო (შემდგომში სამდივნო) ამოწმებს გენერალური პროკურორობის კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საპროკურორო საბჭოს 2024 წლის 27 მაისის N1 განკარგულების N1 დანართთან. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, სამდივნო კანდიდატს ატყობინებს აღნიშნულის შესახებ და ხარვეზის აღმოსაფხვრელად აძლევს ვადას ერთთვიანი საჯარო კონსულტაციების დასრულებამდე.

2. ერთთვიანი საჯარო კონსულტაციების დასრულების შემდეგ, საპროკურორო საბჭო განიხილავს გენერალური პროკურორობის კანდიდატების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტების საპროკურორო საბჭოს 2024 წლის 27 მაისის N1 განკარგულების N1 დანართთან, აგრეთვე გენერალური პროკურორობის კანდიდატების „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობას.

3. საპროკურორო საბჭო დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ანბანური თანმიმდევრობით ადგენს გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ პირთა ერთიან სიას (შემდგომში სია). აღნიშნულის შესახებ სამდივნოს მეშვეობით ატყობინებს სიაში შეყვანილ პირებს.

4. საპროკურორო საბჭო, გენერალური პროკურორობის კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის ან/და ხარვეზის აღმოჩენისას, სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ადგილზე კენჭისყრით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: კანდიდატის შერჩევის პროცესიდან მოხსნის, ხარვეზის დადგენის, ან/და ერთიან სიაში შეყვანის თაობაზე. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში საპროკურორო საბჭო გენერალური პროკურორობის კანდიდატს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრას გონივრულ ვადას. აღნიშნული გარემოება, სამდივნოს მეშვეობით ეცნობება შესაბამის კანდიდატს. საპროკურორო საბჭოს მხრიდან განსაზღვრულ ვადაში კანდიდატის მხრიდან ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, საპროკურორო საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით, კენჭისყრით გადაწყვეტს პირის სიაში შეყვანის, სიაში დატოვების ან/და შერჩევის პროცესიდან მოხსნის საკითხს.

5. საპროკურორო საბჭოს ოფიციალურ ვებ გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდება გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ პირთა ერთიანი სია.

6. საპროკურორო საბჭო უფლებამოსილია სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ადგილზე კენჭისყრით მიიღოს გადაწყვეტილება გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილი პირების მიმართ დამატებითი ინფორმაციის მოძიების თაობაზე.

7. სამდივნო ახორციელებს ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით, გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილი პირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. სამდივნო ვალდებულია ინფორმაციის მოძიებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში გაუგზავნოს საპროკურორო საბჭოს წევრებს და კანდიდატად წარმოდგენილ პირს დამატებით მოძიებული ინფორმაცია.

მუხლი 3.

1. საპროკურორო საბჭო სიაში შეყვანილ პირებთან ატარებს ინდივიდუალურ გასაუბრებას. გასაუბრების პროცესი საპროკურორო საბჭოს ოფიციალურ ვებ გვერდზე ან ფეისბუქ გვერდზე ე.წ ,,ლაივ სტრიმით" გადაიცემა.

2. საპროკურორო საბჭო სიაში შეყვანილ გენერალური პროკურორობის კანდიდატებს გასაუბრებაზე იბარებს ანბანური თანმიმდევრობით. გასაუბრება იწყება ერთიანი სიის შედგენიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

3. სამდივნო გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ პირებს ტექნიკური საშულებებით გონივრულ ვადაში ატყობინებს გასაუბრების თარიღსა და დროს.

4. საპროკურორო საბჭოს სხდომაზე გასაუბრების დაწყებისას გენერალური პროკურორობის კანდიდატი საპროკურორო საბჭოს წარუდგენს საქართველოს პროკურატურის განვითარების სტრატეგიასა და ხედვას, რის შემდეგაც, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული თანმიმდევრობით, საპროკურორო საბჭოს წევრები კანდიდატს დაუსვამენ კითხვებს, მათ შორის დამაზუსტებელ შეკითხვებსაც.

5. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს წევრს შეაწყვეტინოს ან/და მოხსნას ისეთი კითხვა, რომელიც სცილდება ეთიკის ფარგლებს.

6. გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოდგენილი პირის მხრიდან გასაუბრებაზე განყენებულ თემებზე საუბრის შემთხვევაში, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია შეაწყვეტინოს საუბარი კანდიდატს.

7. გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოდგენილი პირის მხრიდან გასაუბრებაზე არაეთიკური ქცევის შემთხვევაში, საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია შეწყვიტოს გასაუბრების პროცესი. საპროკურორო საბჭო ადგილზე კენჭისყრით, სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით გადაწყვეტს ამ პირის შერჩევის პროცესიდან მოხსნის საკითხს. საპროკურორო საბჭო თუ მხარს არ დაუჭერს გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოდგენილი პირის შერჩევის პროცესიდან მოხსნის საკითხს, აღნიშნულ პირთან გასაუბრება გადაიდება განსაზღვრული დროისათვის, რის შესახებაც ეცნობება კანდიდატს.

8. გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარმოდგენილი პირის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საპროკურორო საბჭო ადგილზე კენჭისყრით, სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შერჩევის პროცესში კანდიდატის მონაწილეობის გაგრძელების ან/და მოხსნის თაობაზე.

9. საპროკურორო საბჭო არ განიხილავს იმ პირის კანდიდატურას, რომელმაც მოხსნა კანდიდატურა, რაც ავტომატურად იწვევს მის ერთიანი სიიდან ამორიცხვას. საპროკურორო საბჭო ადგილზე კენჭისყრით სხდომის დამსწრე პირთა უმრავლესობით ერთიანი სიიდან ამორიცხავს იმ კანდიდატს რომელიც უარს აცხადებს შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე.

10. გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ პირებთან გასაუბრების აუდიოჩანაწერი არის საჯარო.

11. გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ ყველა პირთან გასაუბრების დასრულების შემდგომ, საპროკურორო საბჭო ატარებს ფარულ კენჭისყრას და საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების - ზნეობისა და მორალური ღირებულებების, კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმის და გამოცდილების გათვალისწინებით, ირჩევს გენერალური პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა იყოს.

12. გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები წყდება საპროკურორო საბჭოს სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 4.

1. ამ დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად გენერალური პროკურორობის კანდიდატად შერჩეულ პირებს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე

ცალ-ცალკე ეყრებათ კენჭი. კენჭისყრა ფარულია. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო, გადამწყვეტია საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ ამჯერადაც ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა, საპროკურორო საბჭო 1 კვირის ვადაში, იწყებს პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ პროცედურას.

2. საპროკურორო საბჭო შერჩეულ კანდიდატს შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.